

შობა 2005წ.

## ქრისტე იშვების ! ადიღებდით !

მისი უნეტარესობის, მიტონოლიტ ჰერმანეს საშობაო ეპისტოლე. მოღვრებს, დიაკვნებს, ბერ-მონიჭვნებს, ამერიკის მართლმადიდებელი ეკლესის ღვთისმოსავ მართლმადიდებელ ქრისტიანებს!



P.O. Box 675  
Syosset, NY 11791-0675  
Tel: 516.922.0550  
Fax: 516.922.0954  
Website: [www.oca.org](http://www.oca.org)

Chancellor:  
Protopresbyter  
Robert S.  
Kondratick

### ქრისტესმიერ საუკარელნო:

“დღეს იხარებდენ მალნი ზეცისა ანგელოსთანი და იშვებს უოველი სული და განსცხებიან დაბადებულნი ბეთლემს შინა შობილისათვის, ქრისტეს ღმრთისა მაცხოვრისა ჩვენისა, რამეთუ წმიდითა შობითა მისითა უოველი საცოური გერჩთა ამაოთა, ქვეუნისაგან განიდევნა, ხოლო იგი მეუფებს და იდიდების უპუნისამდე”.

ვწერმობთ რა ჩვენი უფლის, ღმრთისა და მაცხოვრის, იქსო ქრისტეს შობას, ანგელოზებთან ერთად ვადიდებთ მას ვინც ჩვენი კაცობრივი ბუნება მოიღო რათა ჩვენ და მთელი ქმნილება განააახლოს “რომ გავხდეთ თანაზიარი მისი ღვთაებრივი ბუნებისა” როგორც წმ. ზავლე მოციქული წერს. ეს მართლაც დიდი სიხარულის საფუძველია. მიუხედავად ამისა სამეარო რომელშიც ვცხოვობთ ხშირად უარს ამბობს ამ სახწაულის სიხარულის გაზიარებაზე. თვით ქრისტეს სახელისა და მისი შობის უბრალოდ ხსენებაც კი ხდება დაბირისხირების საფუძველი. არიან ისეთებიც ვინც კაცობრიობის ისტორიაში ამ უმნიშვნელოვანებს მოვლენას უბრალოდ მრავლიდან ერთ-ერთ დღესახწაულად აღიქვამს, რომელიც მხოლოდ ვიწრო წრეში, სხვებისათვის შეუმჩნევლად და არავითარ შემთხვევაში საჯაროდ და საზეიმოდ არ უნდა აღინიშნოს.

ქრისტე საუგუნოდ მეუფებს-მაგრამ საცდური გერჩთა ამაოთა რომელიც ქრისტე ქვეუნისაგან განიდევნა ისევ აგრძელებს არსებობას რათა წინ აღუდეს მათ ვინც მაცხოვარს როგორც მეუფე-მეუფეს და მშვიდობის მეუფეს ისე აღიქვამს, ვინც ფრაზას “ჩვენთან არს ღმერთი” არა მხოლოდ სიტყვებით არამედ საქმითაც გამოხატავს.

უფალი ფარულად არ ქადაგებდა. იგი ათასობით ადამიანს მიმართავდა, გურნავდა ავაღმუფთ ხალხის თვალწინ. მან ჭემარიტების სისრულე ეველას განუცხადა ვისაც სურდა მისი სიტყვის მოსმეხა და საკუთარი თვალით ხილვა იმისა თუ რას აღასრულებდა უფალი. მოწოდება სინაულსა და მიტევებაზე რაც აშკარად გამოსჭივის მისი იგავებიდან და სახწაულებიდან, უფლის სისხლით იქნა დაბუჭიდილი რომელიც მან ეველას თვალწინ დასთხია ჯვარზე მისი ვნებისა და მასზე აღსრულებისას. მისმა აღდგომამ, რომელიც იერუსალიმში სულთმოფენობაზე ათასობით ადამიანს უწევა, ხოლო მთელს მსოფლიოს მოძღვებობის დღეებში, ცათა სასუფეველში გახსნა კარი. მართლაც რა სწორადა აქვს ნათქვამი ითანე მახარობელს: ”თავისიანებთან მოვიდა და თავისიანებმა იგი არ შეიწენარეს”. ქრისტეს მიერ ნაქადაგებ სახარებას ეწინააღმდეგებოდნენ და დღესაც ეწინააღმდეგებიან სწორედ იმის გამო რომ იგი

უარეოფს “საცდელს(ცდომილებას)კერზთა ამაოთა“ იმის თაობაზე რომ აქ, ამ წუთისოფელში და არა წათა სასუფეველშია უველაფერი რაც ადამიანისთვისაა საჭირო, უველაფერი რაც ნამდვილია, ის რაც აუცილებელია რათა ადამიანმა თავისი თავის “რეალიზება” მოახდინოს. ის სახრუნავები რომელთა დათმობასაც ითხოვს ჩვენგან უფალი-კერზთაევანისმცემლობის ჩათვლით, რომელიც უველაფერი ხილულის ცენტრად ადამიანს და არა ღმერთს ხედავს, დიდ დაბრკოლებას წარმოადგენს მაცხოვრის ნების გარჩევის, უფალში ცხოვრებისა და მის ღვთიურ ბუნებასთან თანაზიარების საქმეში. ამ წუთისოფელში რომელიც ოქებითა და გატაკლიზმებითაა მოცული, სადაც კ.წ. პოლიტ. კორექტულობა და სიუვარულის უქონლობა ლამის ცხოვრების ნორმადაა ქცეული, ადამიანი ადვილად გარდება საცდელში. საბოლოო ანგარიშში უურადღების “წრუნვათა ამა წუთისოფელისა” - ზე გამახვილება უფრო იოლი ხდება ვიდრე წათა სასუფეველზე. უფლის განგაცება იმაზე მიგვითითებს რომ ცოდვით მოწელულ ამ სამეჯაროში წათა სასუფეველი მთელი სისრულით ეგლექსიაშია წარმოდგენილი და მისი თანაზიარნი მხოლოდ ერთი ჰირობით შეძლება გავხდეთ: თუ გამოვეხმაურებით ქრისტეს მოწოდებას - “მოვედით ჩემდა მაშვრალნი და ტვირთმიმენი და მე განგისვენოთ თქვენ.” ამით ხარობენ ანგელოზნი და აუწევენ კაცობრიობას იმას რომ ეგიზმისაგან, დვთივგანდგომილებისაგან თავისუფლება ენიჭება უველას ვინც ზურგს აქცევს წარმართულ ცხოვრებას და ემიგრს ძღვენს საუკუნო ცხოვრებისა, ცხოვრებისა რომლის მოძიება ბეთლემის გამოქვაბულის სისავსესა და ამავე დროს იერუსალიმის საფლავის სიცარიელეშია შესაძლებელი.

ღმერთს შევთხოვ, წელს შობის ზეიმი იმ სიხარულით შეიგსოს რომელიც ჭეშმარიტ სიხარულს, ამ წუთისოფელის კერზებზე და უველაფერ წარმავალზე უარის თქმას, იმის შემეცნებას მოაქვს რომ უფალი მართლაც საუკუნოდ სუფერს. ვისურვებდი რომ გაგვეძლოს ცდუნებისათვის ამქვეუნიური ტვირთს ქრისტეს დახმარების გარეშე ზიდვის შესაძლებლობის შესახებ. დაე, შევიგრძნოთ ჩვენს შორის უფლის უოფნა და კვლავაც ვეცადოთ მაცხოვრის მოწოდებისაგებრ მართლად ამა ქვეუნისანი გავხდეთ.

ქრისტესმიერი სიუვარულით,

+ ჟერმანე

მთავარებისკონისი გაშინგტონისა და  
მიტრონოლიტი სრულიად ამერიკისა და კანადისა.